თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 3

ქ. თელავი 18.02.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ნაცარაშვილი; ზ. ლილუაშვილი; გ. მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე;** სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **მ. ჩაფურიშვილი;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ფ. ყუშიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გ. ენუქიძე;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - **ნ. ჩურხაული;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - **ლ. ბერძენაშვილი**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა; ტ. დარეჯანიშვილმა, ზ. ნაცარაშვილიმა, გ. მამუკელაშვილმა. განმარტებები მოითხოვეს წარმოდგენილ პროგრამებზე და ქვ. პროგრამებზე, რაზეც კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის - ფ. ყუშიტაშვილისგან ამომწურავი პასუხი მიიღეს.
<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ

წარმოდგენილი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:2.</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> მომხსენებელმა - დ. გოგოშვილი, აღნიშნა, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული 2019 წლის 22 იანვრის სამართლებრივი დასკვნით, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამების დამტკიცების შესახებ" სამართლებრივი ექსპერტიზა. რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზები სარიტუალო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამასა და საწარმოო ტრავმის შედეგად დაშავებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამაში.

ცვლილების პროექტის დამტკიცება თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტზე გავლენას არ მოახდენს.

ტ. დარეჯანიშვილმა, ზ. ნაცარაშვილმა, ნ. ხვისტანმა, გ. მამუკელაშვილმა განმარტებები მოითხოვეს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის - გ. ენუქიძესგან და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის - ლ. ბერძენაშვილისგან ამომწურავი პასუხი მიიღეს.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:</u> 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსს ნ. ჩურხაულს.

მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის N208 განკარგულებით – „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთვარობის 2018 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის N207 განკარგულებით - „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების განხორციელების მიზნით", 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვას.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:</u> 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ნ. ხვისთანს.

მან აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზს წარმოადგენს რეგლამენტში არსებული სხვადასხვა სახის ტექნიკური და სამართლებრივი სახის ხარვეზების სიმრავლე. დადგენილების მიღების მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეფექტური და გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა და იმ ხარვეზის გამოსწორება, რომელსაც შეიცავდა რეგლამენტის ძველი რედაქცია. ნორმატიული აქტის პროექტის დამტკიცება ზეგავლენას არ მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით და საშემოსავლო ნაწილზე.

ნორმატიული აქტის მიღებასთან ერთად, ძალადაკარგულად გამოცხადდება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N6 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ".

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ცვლილების პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

დ. გოგოშვილი